სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 7 (4504) ● 24 დეკემბერი ● 2014 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 80 თეთრი ●

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ალექსანდრა (შურა) გეგენავა — 85 და 55

„სიძველისადმი ნდობა, პატივი“

აი, ასეთი გვნამს დაფასება!

ამ საუკუნის დასაწყისიდან თანდათანობით დავიწყებას მიეცა და მიინავლა სკოლებში ღვაწლმოსილი პედაგოგის იუბილეს მოწყობის ან ამაგდარის გაცილების ძვირფასი, ლამაზი ტრადიციები. მისი მიზანი ხომ მასწავლებლის გარჯის დაფასება და ავტორიტეტის ამაღლება იყო.

არადა, ახლო წარსულში ვინ არ იცნობდა სახელგანთქმულ სკოლის დირექტორებს, სახალხო და რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებლებს: **გრიგოლ კობახიძეს**, **დავით გონდაურს**, **ივანე გიორგაძეს**, **ნათია სამნიაშვილს**, **ნიკო ჯაფარიძეს**, **ლევან ჩიქვანაიას**, **შალვა ამონაშვილს**, **მირიან ნარმანიას**, **ოთარ თეთვაძეს**, **აკაკი ელიაურს** და ბევრ სხვას, რომლებიც იმდენად პოპულარულნი იყვნენ, რომ სკოლებს მათ სახელებს ანიჭებდნენ.

დღეს კი მათი რანგისას ვერავინ დაგისახელებთ. განა არა გვყავს? უბრალოდ არ იცნობენ და იმიტომ. წარმოჩენა და წარდგენა არ ხდება მათი.

ახალი ხომ კარგად დავიწყებული ძველიაო, – ნათქვამია. ჰოდა, გადავწყვიტეთ, დავუბრუნოთ მასწავლებელს ძველი ღირსება, ავაღორძინოთ ტრადიცია რუბრიკით: **„სიძველისადმი ნდობა, პატივი...“** და **„განა ყველა რაც ძველია, კაცისგან საწუნარია?..“**

რედაქციაში ზარმა დაინკრიალა.

– ამაგდარი პედაგოგის იუბილეს ვაწყობთ ამ თვის ბოლოს და გეპატიჟებითო! – თითქოს ჩვენს გულში იჯდაო, შეგვატყობინა დედაქალაქის მე-9 საჯარო სკოლის ახალმოსულმა დირექტორმა **მარინე გიგაურმა**.

იდეის ავტორი და ინიციატორი თავად ქალბატონი **მარინე** გახლავთ. სამეურვეო საბჭომ, ყველა პედაგოგმა და მოსწავლეებმა მყის აიტაცეს ეს სიახლე და გადაწყდა: ღირსეულად აღნიშნონ დიდად ნაამაგარი მასწავლებლის **ალექსანდრა (შურა) გეგენავას** დაბადების 85 და პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წლის იუბილე.

რადგან ჩვენი გაზეთი ცოტა ადრე გამოდის, წინასწარ გავეცანით საიუბილეო პროგრამას და ვიცით: **იქნება ზღვა სიხარული, გულთბილი მილოცვები, საზეიმო განწყობილება. ღირსეულად დაფასდება მასწავლებლის ამაგი.** ვაქვეყნებთ ამ ღონისძიების თანმხლებ რამდენიმე ფრაგმენტს.

მისალმება

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ქალბატონო! ყველას მიმართ თბილო და ადამიანურო! საოცარო დედავ, მასწავლებელო, ბავშვების, ჩვენი მოსწავლეების, ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილის საოცრად მოსიყვარულე ადამიანო, რომელიც მათ სიკეთის თესვას, მორალურ სიწმინდეს, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს და საერთოდ ყოველივე კარგს უნერგავ.

ჩვენო კარგო შურიკო, მოგვიდა ასაკი, 85 ლამაზი წელი, ღმერთმა ერთი ამდენი კიდევ გაცოცხლოს!

გულით გილოცავთ იუბილეს, გისურვებთ ადამიანურ ბედნიერებას, ჩვენს გვერდით დიდხანს ყოფნას, რადგანაც შენნაირი ადამიანები ჭირდება ჩვენს პატარა, მაგრამ თბილ, მოსიყვარულე კოლექტივს თავისი ახალი საუკეთესო, ავტორიტეტული ხელმძღვანელობით.

ღმერთი იყოს შენი და შენი ერთადერთი შვილის, ლიას მფარველი!

უდიდესი პატივისცემით: კოლეგები, მასწავლებლები, სკოლის ახალი და ყოფილი ხელმძღვანელები.

ყველა ჩვენგანის მოძღვარი

ჩვენი სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი **ალექსანდრა (შურა) გეგენავა** 85 წლისაა. იგი 55 წელია მე-9 საჯარო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის მომავალ თაობას, ჯერ კიდევ რუსული სკოლიდან მოყოლებული. არაქართველმა ბავშვებმა (უმეტესობა მოლდაველები იყვნენ) ქალბატონ **ალექსანდრას** სიყვარულით ისწავლეს, გაითავისეს ქართული ენა და საქართველოს ისტორია.

ალექსანდრა (შურა) მასწავლებელი ყოველთვის იყო და არის ობიექტური, სამართლიანი მოსწავლეების მიმართ, მორიდებული და მოკრძალებული კოლეგებთან, მშობლებთან მუდამ ტაქტიანი, მომღიმარი, თბილი, ხალისიანი, ენერგიული. დღესაც ასეთი შემართებით ურთიერთობს მომავალ თაობასთან. იგი დიდი სიყვარულით იხსენებს სკოლაში გატარებულ წლებს, პედაგოგიურ საქმიანობას, წლებს მის მიერ აღზრდილ საამაყო ადამიანებს. ქალბატონი **ალექსანდრა** შრომის ვეტერანი გახლავთ. ბევრჯერ არის დაჯილდოებული მედლით – ხანგრძლივი კეთილსინდისიერი მოღვაწეობისათვის. დიდი ხნის მანძილზე ნაყოფიერად უძღვებოდა სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდურ მუშაობას.

ქალბატონ **ალექსანდრას** ვუსურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ულევ სიხარულს.

ევგენია შუკაკიძე

ჩვენო ძვირფასო შურა!

თქვენ ბრძანდებით ადამიანური სითბოს, სინდისიერების, სათნოების, პასუხსიმგებლობის დიდი გრძნობით მდიდარი ადამიანი, რომლის დანახვა და რომელთან ურთიერთობაც თითოეულ ჩვენგანს სიხარულსა და სიამოვნებას ანიჭებს. თქვენი ცხოვრების წესია მხარში ამოუდგეთ ყოველ საჭირო ჟამს მოყვასს, დაეხმაროთ, მისცეთ მას აუცილებელი ცხოვრებისეული ჭკვიანური რჩევა, გაითავისოთ მისი ჭირი თუ ლხინი.

ამ ულამაზეს დღეს, ამ მშვენიერ ჟამს, ჩვენი მშობლიური სკოლის კედლებში თქვენი დაბადების დღეს ვზეიმობთ. მთელი გულით და სულით გილოცავთ მას. გვეამაყება თქვენს გვერდით მოღვაწეობა.

ჩვენო მხცოვანო, მაგრამ უბერებელო მასწავლებელო, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანის სიმრთელეს, ადამიანურ სიხარულსა და ბედნიერებას.

მარიკა მარჯანიძე

სარედაქციო მინაწერი: გაზეთ **„სახალხო განათლება+“**-ის რედაქცია მესალმება მე-9 საჯარო სკოლელთა ინიციატივას და სახელოვან იუბილარს, მასთან ერთად – ყველა პედაგოგს, ყველა მოსწავლეს ახალ წელს ულოცავს.

ამ თემაზე მოწოდებულ მასალებს სისტემატურად გამოვაქვეყნებთ.



გილოცავ!

გილოცავ! გილოცავ!
ახალ წელს გილოცავ
შენ, ვისაც სამშობლო გიყვარს,
გელა ხარ! თინა ხარ!
შოთა ხარ! ცირა ხარ!
ეს სულერთია – ვინ ხარ.
ახალი წელია...
თოვლიც გვესალმება...
თოვლიც გვესალმება ციდან.
– ცრემლები?! – ცრემლებზე –
ბოდიში!
– ღიმილი?! – ღიმილი
რამდენიც გინდა.
ბავშვებო! თქვენსავით
მეც ვიყავ მოსწავლე,
მე დღესაც არ ვსწავლობ განა?
ამიტომ ერთმანეთს,
ამიტომ ერთმანეთს
ვუსურვოთ ხუთებზე სწავლა!
გიყვარდეს სამშობლო,
სიმართლე გიყვარდეს
გიყვარდეს, გიყვარდეს წიგნი.
რაც უნდა ისურვო,
რაც უნდა ინატრო, –
ესაა ყველაზე დიდი.
გილოცავ! გილოცავ!
ახალ წელს გილოცავ
შენ, ვისაც სამშობლო გიყვარს...
ზაზა ხარ! ლაშა ხარ!
ვაჟა ხარ! ნინო ხარ!
ეს სულერთია – ვინ ხარ!

მუხრან მაჯავარიანი

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: “საქპრესა” – გურამიშვილის გამზ. 64, ტელ.: (032) 2 518 518, “მაცნე” – საირმის ქ. კორპ N 4, ტელ.: 2 14 74 22.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

კერძო სკოლის დიდი სიკეთე

„ალმასი“ სიმაღლეებს უმიზნებს



დირექტორი ზურაბ ბიწაძე

ათი წლის წინათ გლდანის II მიკრორაიონში გაიხსნა კერძო სკოლა, რომელსაც სახელად დაერქვა „ალმასი“. განათლების ეს კერა მასზე დაკისრებულ მისიას წარმატებით ასრულებს. შარშან ათი წლის იუბილე აღნიშნეს. ბევრი თაობა დაფრთიანდა ჩვენი ქვეყნის მომავლის საკეთილდღეოდ. სკოლაში ამჟამად სწავლობს 203 მოსწავლე, რომლებიც ძლიერი, გამოცდილი პედაგოგების ხელში ღებულობენ მაღალხარისხიან განათლებას. სკოლის ეფექტიან შედეგებზე ორიენტირებულ მუშაობას პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად სათავეში უდგას ამ სფეროს დიდად ნაღვაწი, უაღრესად გამოცდილი დირექტორი **ზურაბ ბიწაძე**. მას დამთავრებული აქვს ყველასათვის ცნობილი სახელოვანი კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა, შემდეგ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. ბატონი ზურაბი მუშაობდა თბილისის მე-8 და 164-ე სკოლებში ფიზიკის მასწავლებლად. 1989 წლიდან 1996 წლამდე იყო მე-16 სკოლის დირექტორი, შემდეგ – მე-3 საღამოს სკოლის დირექტორი. მას იცნობენ, როგორც დიდად წარმატებულ პიროვნებას თავისი აქტიური ცხოვრების წესით. მუდამ ჰყავდა მტკიცედ შეკრული გუნდი პედაგოგებისა, რომლებიც ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე ემსახურებოდნენ განათლების მეტად სათუთ საქმეს. ბატონი ზურაბის ბიოგრაფიას ამშვენებს გლდანის რაიონის განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ და გლდანის მეთოდურ ცენტრში ფიზიკის მეთოდისტად მუშაობის გამოცდილება.

სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილე გახლავთ შემოქმედი პედაგოგი **ეკა ნიკურაძე**. ენერგიულად უძღვება თავის საქმეს სკოლის ფინანსური მენეჯერი **ლია როსტიაშვილი**. მას დიდი წვლილი შეაქვს სკოლის მუშაობისა და წარმატებების მიღწევაში.

„ალმასს“ ჰყავს ძლიერი პედაგოგიური გუნდი. სერთიფიცირებული მასწავლებლები, რომლებიც წარმატებით უძღვებიან დაკისრებულ საქმეს. სიამოვნებით დაგვისახელეს ისინი: **შორენა ხუჭუა**, **მაია გიგინეიშვილი**, **ლალი მაკასარაშვილი**, **მაკა ბურდიაშვილი**, **ეკატერინე ალთენაშვილი**, **მანანა ხმალაძე**, **ინგა გელაშვილი**, **ეკატერინე ანჯაფარიძე**, **თინათინ ბუსკივაძე**, **ანა თოლორდავა**, **დალი ჩინჩალაძე**, **ეკატერინე კანდელაკი** და **ინგა ყრუაშვილი**. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ სკოლის კედლებს ყოველწლიურად ტოვებს განათლებული და საამაყო აღზრდილი თაობათა წყება.

სკოლაში ფუნქციონირებს ექვსი კათედრა. ესენია: საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა, რომელსაც უნარიანად ხელმძღვანელობს **თინათინ ბუსკივაძე**, დაწყებითი განათლების – **ინგა შიუკაშვილი**, უცხოური ენების – **მარიამ შიკლაძე**, ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის – **ნაირა შიუკაშვილი**, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების – **ლეილა ტურბელაძე**, ქართული ენის და ლიტერატურის კათედრა – **მაკა ბულიაშვილი**.

ამ კათედრების ერთიანი და ეფექტური მუშაობა განპირობებულია მისი ხელმძღვანელების თავდაუზოგავი შრომით, რაც შედეგებში გამოისახება კიდეც. შედეგი კი სასიხარულოა. სკოლა „ალმასს“ ასახელებს და წარმოაჩენს უამრავი მოსწავლე ბეჯითი სწავლით და მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით.

მათ შორის დიდი მიღწევებით გამოირჩევიან: **ნატა იოსავა**, **ნატო ბელია**, **გვანცა ჩიტაური**, **სალომე ჭიღლაძე**.

სკოლა აქტიურად ღებულობს მონაწილეობას სასწავლო ოლიმპიადებში, რაც სწავლების მაღალ ხარისხზე მიუთითებს. ოლიმპიადებში წარმატებები უხვმოსავლიანია. თავი გამოიჩინეს: ბიოლოგიაში – **ლიკა კალანდაძემ**, **გიორგი მამარდაშვილმა**, **ლიზი ლომიძემ** გეოგრაფიაში – **სანდრო ბუნტურმა**, **გიორგი ზურებიანმა**. ინგლისურში – **სალომე ჩიტიამ**, **სალომე აბულაძემ**, **ბექა ბაინდურაშვილმა**. ქართულში – **შოთა ბახტაძემ**, **მარიამ ნიაურმა**, **ვიქტორია რაზმაძემ**. ქიმიაში – **ლიზი ლომიძემ**. ისტორიაში – **სალომე ჭიღლაძემ**, **ლიკა კალანდაძემ**, **სანდრო ბუნტურმა**.

ბეჯით სწავლას მოსწავლეები აქტიურად უხამებენ კულტურულ საქმიანობასაც. სკოლაში ჩამოყალიბებულია ხალხური საკრავების წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს ანსამბლ „რუსთავის“ ყოფილი სოლისტი – **ემზარ ხმალაძე**.

ფანდურს და სალამურს შესანიშნავად ფლობენ **თეკლა** და **გიორგი კაპანაძეები**. მსმენელებს დიდ ესთეტიკურ ტკბობას ანიჭებენ.

სკოლაში ასევე ფუნქციონირებს კარატეს შემსწავლელი წრე, ხელმძღვანელობს **დავით მენაბდიშვილი**.

კარატეში კი სკოლის სახელი ბევრჯერ წარმოაჩინა **დათო მეგრელიძემ**. მას გამარჯვებულის ბევრი ჯილდო აქვს მიღებული.

„ალმასში“ იზრდებიან სპორტის სხვადასხვა სახეობაში მეტად პერსპექტიული ახალგაზრდები: ფეხბურთში დიდი მომავალი აქვს **ზაურ გორგასლიძეს**, ხოლო რაგბში – **ლუკა გოგუას**.

სასწავლო დაწესებულებაში არის ყველა პირობა შექმნილი იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა სრულყოფილი საშუალო განათლება მიიღონ, დაწყებული ძლიერი პედაგოგიური გუნდიდან, დამთავრებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. ყველა და ყველაფერი სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და მაღალი შედეგების მიღებაზე არის ორიენტირებული.

დამდეგ ახალ, 2015 წელს ვულოცავთ ყველა „ალმასელს“.

ნანა ფიფია

„ნინა კაცი ოკეანესი ხიდიაო“

გულთბილად მინდა ვისაუბრო თბილისის 51-ე საჯარო სკოლის ამაგდარ პედაგოგებზე.

მასწავლებელი ხომ სულთა ხუროთმოძღვარია, ისაა პირველი მანუგეშებელი, წინამძღოლი და მნათე იმ დიდ ტაძარში, რომელსაც „ცოდნას“ ვეძახით!

მასწავლებლებსაც ჰყავთ თავიანთი მოძღვრები. ისინი, რომლებიც მათ უფალთან მიაახლებენ და ბავშვების უსათუთეს სულებამდე უკვლევენ გზას – ჯერ კიდევ გამოუცდელ სპეციალისტებს, სკოლაში ვითომ ცოტა ხნით შერბენილებს რომ „აიძულებენ“, აღარ მიატოვონ ცოდნის ტაძარი და პირუთვნელად ემსახურონ მშობელ ერს.

სწორედ ასეთი ღვთიური მადლით სხივმოსილია ჩვენი ყოფილი უსაყვარლესი დირექტორი **ინეზა იამანიძე**, რომელიც ყოველთვის შენი თანამდევი იქნება, მუდამ შეგახსენებს თავს კეთილი საქმით, გამოთქმითა, თუ დანატოვარი ამაგით. ინეზა ჩვენი არა მარტო დირექტორი, არამედ ოჯახის წევრიც იყო.

ჩემო დედასავით ძვირფასო და თამარ მეფესავით ბრძენო, ქალბატონო ინეზა! 24 წლის მიმიღეთ მასწავლებლად. ჩემთვის და მრავალთათვის თქვენ იყავით, ხართ და იქნებით „მასწავლებელი – შუქი სულისა!“

მთელი ცხოვრება ბედნიერების ლურჯი ფრინველით გაქვს მხარი დამშვენებული, თუკი **კლარა ჩხაიძის** ნამოწაფარი ხარ, რადგან შენ ესწრებოდი მის გაკვეთილებს, სპექტაკლებს, რომლებმაც მშობელი ერისა და ლიტერატურის სიყვარულით გაგითბეს გული...

ამიტომაც, სადაც არ უნდა წავიდნენ კლარას ნამოწაფრები, ყველგან დააფუძნებენ პატარა საქართველოს.

აქ მოღვაწეობდა უმშვენიერესი ქალილეგენდა, რომელმაც ყველა სიტყვის შესატყვისი ლექსი ზეპირად იცოდა.

ლამარა ნადირაძის გაკვეთილები საქართველოს ისტორიის ქარცეცხლისა და ეროვნული სიამაყის სამხილით იყო გაჯერებული!..

გაგახსენდათ ირმისთვალება პედაგოგი, მოსწავლეები სუნთქვაშეკრულნი რომ ითავისებდნენ პოეტური სულით გამთბარ მის მონათხრობს?

ქალი ღირსება – მკაცრი და მართალი, დედასავით უშუალო და ამაყი **დარეჯან გოგოხია**, მოსწავლეები დასვენებაზევე გაფაციცებულნი რომ ელოდნენ მის შებრძანებას საკლასო ოთახში. იქ, ყველა გაკვეთილზე, იწყებოდა საოცარი მოგზაურობა უმშვენიერეს ინგლისსა თუ ამერიკაში, ამიტომაც დარეჯან მასწავლებლის მოსწავლეობა ერთგვარი სტატუსი იყო თბილისში, რაც იმის მაუწყებელი გახლდათ, რომ შენზე კარგად არავინ იცოდა ინგლისური ენა!..

არ შეიძლება ღიმილითა და სინაზით არ გაიხსენო ქალბატონი **ალა ალადაშვილი** – 51-ე საშუალო სკოლის ქალურობისა და მოდის მეტრი. მის გაკვეთილებზე მოსწავლეები არა მარტო ტოლსტოისა და პუშკინის შემოქმედებას სწავლობდნენ, არამედ ეთიკისა და ესთეტიკის აკადემიასაც ამთავრებდნენ.

მადლობა თქვენ, **ჟუჟუნა ასათიანო!** ყველას მოჭირნახულევ და დამრიგებელო, კეთილშობილო!

„თავშესაფარო რამდენ ოცნების,
იყავ ბანაკი გაზაფხულისა!“

თქვენზე თუ უთქვამს, ალბათ, პოეტს.

მადლობა თქვენ, **ნანა ნარიმანიძე!** – ყველას მოსარჩლევ და პატრონო, მწყემსო კეთილო და ბავშვების დიდო გულშემატკივარო, ერთგულო მეგობარო!

მადლობა თქვენ **მაყვალა კანკავა!** – ბავშვების სიყვარულით გაბრწყინებული თვალებით სულ მოწესრიგებულ, ლამაზ და დიდ მოჭირნახულედ ახსოვხართ თქვენს მოსწავლეებსა და კოლეგებს.

ამაგდარ მასწავლებელთა გალერეა

მადლობა თქვენ, **ნანა ვერულავა!** – ცისფერთვალება, კეთილღიმილიანი, უზადო ორატორი და გულმოწყალე მასწავლებელი! – ასე გიხსენიებენ დღესაც აღზრდილები და კოლეგები. თქვენ ბრძანდებით ქალი, რომელიც ძალიან დააკლდა სკოლას!

მადლობა თქვენ, **მზია მამიაშვილო!** ქიმიის სულისჩამდგმელო, მოლეკულათა ამამღერებელო, ბავშვების გამაკეთილშობილებელო!

მოსწავლეები ყოველთვის ამაყობდნენ თქვენით, რადგან მენდელეევის ტაბულის თითქმის ყველა ელემენტზე ლექსი გქონდათ დაწერილი.

ჩემო ძვირფასებო, 51-ე სკოლის კედლებში თქვენი გულები დაგიტოვებიათ, სიბრძნით გაგიბრწყინებიათ აღსაზრდელების სულები, დღესაც ჩვენს გვერდით ხართ და გვამხნევებთ.

თქვენ მუდამ, ჭეშმარიტი, საოცნებო მასწავლებლები იყავით და სხვაგვარად არ შეგეძლოთ!

ასე რომ, სახელოვანი 51-ე საჯარო სკოლის ზემოთხსენებული პედაგოგების ცხოვრება-მოღვაწეობის წესი მუდამ იქნება სანიმუშო და მისაბაძი მათ ხელში დაფრთიანებული კოლეგებისა და აღზრდილ-აღსაზრდელებისათვის.

ფატი ჭარბაძე

„იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, გახდი ყანაო!“

თქვენზე დედასავით ზრუნავენ, ცეროდენებო

ხუთი წლის წინათ ვიყავით ბავშვების ამ ზღაპრულ სამყაროში და დღესაც მომყვება მაშინდელი ხიბლი, თუმცა ახლა გაცილებით უფრო მშვენიერია თბილისის მე-60 ბაგა-ბაღი.

მაშინ ახალი მოსული იყო ამ საბინადროს დიდი და კეთილი დიასახლისი, ცეროდენებზე დედასავით მზრუნველი, გამოცდილი პედაგოგი, სამეურნეო მუშაკი **მარინე სამსონიძე** და მემკვიდრეობით მიღებულ პრობლემებს შეჭიდებოდა. ეს იყო ეზოს კეთილმოწყობის, თუ სარემონტო სამუშაოები. ახლა კი... ჩამოიკაკებ და კოხტად დაგეგმარებული მწვანე წალკოტი, შიგნით მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, ესთეტიკური იერსახე ბაგა-ბაღისა გაგაოცებთ. მოკლედ „რა გიამბოთ ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა“.

– ახალი წლიდან კიდევ უფრო გაიხარებენ მშობლები, – ამბობს თავადაც გახარებული დირექტორი, – შენობის ფართის უკმარისობის გამო ბევრი ბავშვი რეზერვში გვყავდა. მერიამ გულთან მიიტანა მშობელთა სატკივარი და ბაგა-ბაღს ახალი სათავსოები მიუშენა. რემონტი ახლახან დამთავრდა და ახალი წლიდან მე-12 ჯგუფს გავხსნით. ყველა თანამშრომლის სახელით დიდ მადლობას ვუხდი მერიას და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უფროსს **თემურ თორდინავას** ჩვენზე ასეთი ზრუნვისათვის.

ამავე დროს აღსანიშნავია პირადად მერის **დავით ნარმანიას** დიდი საჩუქარი. კერძოდ, თბილისის გამწვანების პროექტით ბაგა-ბაღი უფრო გამდიდრდა მარადმწვანე ნარგავებით. ის დღე შრომით ზეიმს დაემსგავსა. მწვანეთა აქციას სახალხო დამცველის აპარატი უძღვებოდა ბავშვების უფლებათა ცენტრის უფროსის **მაია გედევანიშვილის** თაოსნობით. ნერგების ჩაყრაში მონაწილეობდნენ ევროპული სკოლის X-XI კლასები, რომელთაც ხელი შეაშველეს ბაგა-ბაღის 5-6 წლიანებმა, ბევრი ხე დარგეს. ცეროდენებმა კონცერტის სახით თავიანთი ხელოვნებაც უჩვენეს დასახმარებლად მოსულ სტუმრებს, რაც მთავარია და ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ ბაგა-ბაღში ბევრს ზრუნავენ პატარების კეთილდღეობისათვის. შესანიშნავი კვება, მოვლა-პატრონობა, მეცადინეობა, თამაში. დედობრივი მზრუნველობა, სითბო და ალერსი – აი, ყველაფერი აქვთ პატარებს. გახარებული არიან მათი მშობლები. ქალაქის მთავრობამ ხომ ბევრი სიკეთე გაიღო პატარებისა და მათი აღმზრდელებისთვის – მშობლები მომსახურების ქირას არ იხდიან, ხოლო ბაგა-ბაღის აღმზრდელთანამშრომლებს, კარგა ხანია, ხელფასები გაუზარდეს.

თქვენი დაუღალავი შრომა მომავალში კიდევ უფრო დაფასდება, ძვირფასო აღმზრდელ-მასწავლებლებო.

ცეროდენების ცხოვრებისთვის მომზადების, მათში შემეცნებითი უნარ-ჩვევების განვითარებისთვის თავდადებით იღვწის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მეტად გამოცდილი ორგანიზატორი და კოორდინატორი (მეთოდისტი) **ნინო ბიაშვილი**. მას მხარს უმშვენებს ყველა აღმზრდელ-პედაგოგი.

დიდი მადლობა დამსახურებულ მოღვაწეებს: **თინა დავითიძეს**, **ლია ჩიქოვანს**, **ჯულიეტა სოხაძეს**, **ლაურა სვანიძეს**, **მზია ჭანკოტაძეს**, **მზია ორჯონიკიძეს**, **ციცო სხირტლაძეს**, **ციური რიჟამაძეს**. ეს ამაგდარი პედაგოგები მე-60 ბაგა-ბაღის გახსნის დღიდან თავს ევლებიან და აფრთიანებენ ნორჩ თაობას, ზრდიან მათ მამულიშვილებად. თქვენი სახელები ოქროს ასოებით შევა ამ ბაგა-ბაღის ისტორიაში.

მარჯვენა დაგელოცოთ ბავშვებზე უზომოდ შეყვარებულო აღმზრდელებო და თანაშემწეებო! დირექციისა და მშობლების სახელით დიდი მადლობა: **ციცო მახარობლიშვილს**, **გიული ბარნაბიშვილს**, **ციალა ჩალიგავას**, **ნინო ბოკუჩავას**, **ქეთი პაპოშვილს**, **დიანა შარიქაძეს**, მათ თანაშემწეებს: **ზაირა გედევანიშვილს**, **ნინო მამასახლისს**, **ლუდა ფარსადანიშვილს**, **სოფიო ჯოლიას**, **ციცინო მილაძეს**, **მონიკა თურქიას**, **მზია ხუდოევას**, **ნინო კუსიანს**, **ქეთი სამხარაძეს**, **მაკა ხაჩიურს**, **მთვარისა ობოლაძეს**, **ლალი ამირხანაშვილს**, **მაია მახაჭაშვილს**, **მარინე ქარქაშაძეს**, **ანასტასია ლევერაშვილს**, **ნათია კვირიკაშვილს**, **ლაურა ლიჩელს**, **ლელა კანდელაკს**, **თამარ ორჯონიკიძეს**.

დირექტორმა **მარინე სამსონიძემ** ქებისა და მადლობის სიტყვები არ დაიშურა ყოველი მათგანის მიმართ. მეც დავუმატებდი: თქვენი დამსახურებაა, რომ ამდენი ჭკვიანი, ნიჭიერი, თვალხატულა ცუგრუმელა გვეზრდება. აქ ყველა ნიჭიერია და ყველას ვინ ჩამოთვლის.

მათ აღზრდაში დიდი წვლილი შეაქვთ გამოცდილ სპეციალისტებს: ლოგოპედ **მზია სტვილიას**, შესანიშნავ პედაგოგს, ფსიქოლოგ **ირინე ცენტერაძეს**, სპეცპედაგოგ **შორენა გოცირიძეს**.

საკონცერტო დარბაზიდან ტკბილმშობლიური ჰანგები დაირხა, ცეროდენები საახალწლო ზეიმისთვის ემზადებოდნენ. მათი სულის გამფაქიზებლები, მუსიკის გამოცდილი დამსახურებული პედაგოგები: **ლედი ლორია** და **ქეთევან ზუბიაშვილი** მთელ ძალისხმევას აქსოვენ

გამარჯობათ, მე-60 ბაგა-ბაღელებო!

პატარების ესთეტიკურ აღზრდაში, ნიჭიერების დაკვალიანებაში. ამავე საქმეს გატაცებით ემსახურება ცეკვის ენერგიული მასწავლებელი **მანანა მამალაძე**. ნორჩების ჯანმრთელობაზე ბევრს ზრუნავს უფროსი ექთანი **ციური რიჟამაძე**. მისი შიშით ინფექციები ეზოში შემოხედვასაც ვერ გაბედავენ. აი, ბავშვებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მახლობელი ადამიანები: მზარეულების – **მანანა ქაჩლიშვილისა** და **ლენა მიკირტიჩიანის** დამზადებული ყუათიანი, არომატული კერძები ბავშვებს კი არა დიდებსაც ძალიან იზიდავს.

ბაგა-ბაღის კეთილდღეობაში ლომის წილი უდევთ ბაღის გახსნიდან აქ მომუშავე სამეურნეო დარგის კოორდინატორს **მზია ჭანკოტაძეს** და დაუზარელ შრომისმოყვარე, მუდამ აკურატულ საქმისმწარმოებელს **დალი ნიაურს**. ნაყოფიერად მუშაობს დირექტორის მოადგილე **თინა ფიცხელაური**.

შარშან დაუვიწყარი გაცილება დიდი ზეიმით მოუწყვეს ნიჭიერ, სკოლისთვის კარგად მომზადებულ 105 ბაღდამთავრებულს. 2015 წელს უფრო მეტს – 120 ცეროდენას გააცილებენ სკოლაში.

მარინე სამსონიძე კეთილშობილი, თანამშრომლების ღვაწლის დამფასებელი, ავტორიტეტიანი დირექტორი გახლავთ. მაღალი შეფასება მისცა მან ტექპერსონალის შრომას და მთხოვა, ისინი არ გამომრჩენოდა.

მაშ, მარჯვენა დავულოცოთ ერთგულად გამრჯე დამლაგებლებს: **მანოლი ღვინაძეს**, **მზია აბუაშვილს**, **ციალა პეტროსიანს**, ჭურჭლის მრეცხავებს: **ნანა ქალიაშვილს**, **ქეთი გეგეჭკორს**, **თამარ ყუბანეიშვილს**. ყველაზე საჭირო კაცს სანტექნიკ **ზაზა მიქელაძეს**, ეზოს ბაღნარად მქცეველს, მეეზოვე **გიორგი მაცაბერიძეს**.

კიდევ ბევრი კარგის თქმა შეიძლებოდა ამ ბაგა-ბაღზე, მაგრამ შემდეგისთვის იყოს.

ახლა კი კარს მოგვადგა ახალი წელი. მინდა იგი თავად ახალმა წელმა გიორგი ლეონიძის ჩემებურად შეცვლილი სტრიქონებით მიგილოცოთ მე-60 ბაგა-ბაღელებო: „შენ ჩემო ბაღო, შენი მეკვლე ვარ, შემოვდგი ფეხი, ვარ მომლოცველი... ბაგა-ბაღელნო, თქვენ გაიხარეთ, ბედნიერების ვარ მომლოცველი!“

მაია მიშველაძე

მეგობრობისა და ცოდნის ტაძარი

დირექტორი სალმან პირმამედ ოღლი თათბირზე

ბრიშაშვილის აღმართს რომ აუყვებით, სამი ერთმანეთის მხარდამხარ მდგომი სკოლის დანახვისას, გაგახსენდებათ ხარფუხელი აშუღის სტრიქონები: „თბილისი, ბაქო და ერევანი – რა კარგი თქმაა, რა დიდებული, ეს ერთი ვაზის სამი მტევანი ძმურ მარანშია ჩაკიდებული“.

დიახ, აქ 75-ე ქართულ, 73-ე აზერბაიჯანულ და დემირელის სახელობის თურქულ სკოლებში დაძმურად იზრდებიან სხვადასხვა ეროვნების გოგო-ბიჭები.

ამჯერად 73-ე სკოლის ცხოვრებაზე მოგითხრობთ. ეგზოტიკურ ეზოს ყველასთვის საყვარელი პოეტის მირზა ფათალი ახუნდოვის ბრინჯაოს ბიუსტი ამშვენებს. სწორედ მისი სახელობისაა სკოლა, რომელიც შიგნით უფრო მომხიბლავია. ინფრასტრუქტურით ყოველმხრივ მოწესრიგებულ ცოდნის ამ ტაძარს შემოქმედებითად უძღვება დიდხანს ნაღვაწი, დამსახურებული პედაგოგი, გამოცდილი დირექტორი **სალმან პირმამედ ოღლი**. საჭიროდ მიგვაჩნია მასზე უფრო ვრცლად გესაუბროთ.

ბატონი **სალმან პირმამედ ოღლი** სკოლას ხელმძღვანელობს 1984-1985 სასწავლო წლიდან. მან ეს სკოლა დაამთავრა 1962 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ სკოლას და დაიწყო მუშაობა მათემატიკის მასწავლებლად. ერთდროულად მუშაობდა დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში, შემდეგ კი სასწავლო დარგში. 1985 წლიდან ბატონი სალმანი მუშაობს სკოლის დირექტორად. იგი არის ენერგიული, პასუხისმგებლიანი, შრომისმოყვარე, პატიოსანი და სამართლიანი დირექტორი. 2002 წელს დაჯილდოვდა პრეზიდენტის ღირსების ორდენით.

სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში გახლავთ ქალბატონი **რახილ ტანივერდიევა**, რომელიც აქ 2003 წლიდან აქტიურად და დაუღალავად მოღვაწეობს.

სკოლას ჰყავს სამეურვეო საბჭო, რომლის თავმჯდომარეა ქალბატონი **რახილა ჰუსეინოვა**, ხოლო მოსწავლეთა თვითმმართველობას საინტერესოდ უძღვება XI კლასის მოსწავლე **ლეილა აქპეროვა**.

2014-2015 სასწავლო წლის დასაწყისში პირველ კლასში მიიღეს თორმეტი მოსწავლე.

სკოლა არის ოთხსართულიანი. პირველ სართულზე სკოლის ბუფეტი, სპორტული დარბაზი, მანდატურის

აზერბაიჯანული ენის გაკვეთილზე კლასში

ოთახი და საკლასო ოთახებია. მეორე სართულზე განლაგებულია სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერის ოთახი, კომპიუტერის კლასი და მუსიკის კაბინეტი. მესამე და მეოთხე სართულზე არის კლასები, ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები. ყველა სართულზე არის კეთილმოწყობილი საპირფარეშო. სკოლა ახალი გარემონტებულია, უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით და საიმედო კანალიზაციით.

სკოლაში აქტიურად მუშაობს საგნობრივი კათედრები, რომელთაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი და შემოქმედი პედაგოგები: მშობლიური ენა და ლიტერატურის – **თამამ ალიევი**, ქართული ენისას – **ნათია უსუნაშვილი**, უცხო ენისას – **მაია მუზაშვილი,** ბუნებისმცოდნეობისას (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) – **რენა აბდულაევა**, ისტორია-გეოგრაფიისას – **სევდა ალახვერდოვა**, მათემატიკისას – **ხალიდა ჯიქიძე**, სპორტს, მუსიკას და ხელოვნებას – **თეა ყიფიანი**, დაწყებითი კლასებისას – **ქამალა აქპეროვი**.

2013-2014 სასწავლო წელს სკოლა დაამთავრა ცხრა მოსწავლემ. ამათგან ექვსი მოსწავლე გახდა სტუდენტი. აქედან სამმა: **ფუნხან რზაევამ**, **ნარმინ ისმაილოვმა და ათილლა მამედოვმა** მიიღეს მაღალი გრანტი. **ათილლა მამედოვა** სწავლობს თურქეთის რესპუბლიკაში.

ნომრის სტუმარია თბილისის 73-ე აზერბაიჯანული სკოლა

თბილისის 73-ე საჯარო სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართული ენის სწავლებას. მოსწავლეები დიდ ინტერესს და სიყვარულს იჩენენ ქართული ენისადმი, რომელსაც მაღალპროფესიულ დონეზე ასწავლიან პედაგოგები: **მზია რუხაია, ლეილა ბაბაევა და ნათია უსუნაშვილი.** საინტერესოა, რომ აზერბაიჯანელი პედაგოგი **ლეილა ბაბაევა** ქართულის ბრწყინვალე გაკვეთილებს ატარებს. მოსწავლეებს დიდი მიღწევები აქვთ სასწავლო ოლიმპიადებში, კონფერენციებში და სხვადასხვა კონკურსებში. გასულ წელს გამოცხადდა კონკურსი „ქართული ენა ჩემი მომავალი წარმატებისთვის“, სადაც მონაწილეობა მიიღო ჩვენი სკოლის ორმა მოსწავლემ: **ლეილა აქპეროვამ** და **ლეილა ქარიმოვამ**. მათ ამ შეჯიბრში გაიმარჯვეს და გულწრფელად ვულოცავთ.

ასევე ეროვნულ, კინგსის და ლონდონის ინგლისური ენის სკოლის ქართულის ოლიმპიადებში მიიღეს მონაწილეობა ჩვენმა მოსწავლეებმა და წარმატებით გადალახეს ეტაპები, აიღეს სერთიფიკატები და ფულადი ჯილდოები. გასული ზაფხულის კონკურსში გამარჯვებისთვის, ორმა მოსწავლემ **ლეილა ქარიმოვამ და ლეილა აქპეროვამ**, ასევე მათმა ქართული ენის მასწავლებელმა **ნათია უსენაშვილმა** დაისვენეს განათლების სამინისტროს და კინგსის მხარდაჭერა-დაფინანსებით კურორტ ბაკურიანში. აქ მათ გაიარეს ტრენინგები.

ყოველწლიურად სკოლაში ეწყობა კონკურსი კალიგრაფიაში, მხატვრულ კითხვაში, ტარდება ვიქტორინები, სადაც გამარჯვებული კლასები და მოსწავლეები ჯილდოვდებიან სიგელებით. როგორც ქართულ ენაში, ასევე ლიტერატურაში ეწყობა ყოველწლიურად ქართული ენის კვირეული და იმართება პოეზიის საღამოები. მოსწავლეები ეცნობიან მწერალთა ცხოვრებასა და შემოქმედებას.

პედაგოგები აწყობენ სასკოლო შემოქმედებით ექსკურსიებს სახელმწიფო მუზეუმებში, მწერალთა სახლ-მუზეუმებში. ქართული ენის მასწავლებლებს წელსაც დაგეგმილი აქვთ ბევრი სიახლე და საინფორმაციო, ემოციური ღონისძიება.

ქართული ენის მასწავლებლების მიზანია, მეტი სიახლე, ჩართულობა, ინტერესი და ქართული ენის სიყვარული გაუღვიძონ არაქართველ მოსწავლეებს.

მაღალი კლასის მოსწავლეები მეგობრობენ ქართულენოვანი 67-ე, 72-ე, 75-ე საჯარო სკოლების თანატოლებთან. ისინი ერთად ატარებენ სპორტულ შეჯიბრებებს, მართავენ შემოქმედებით შეხვედრებს, გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს.

სკოლას ამშვენებენ საგანში წარმატებული, შემოქმედებითად მოღვაწე პედაგოგები: **თამამ ალიევა, ლეილა ბაბაევა, ქამალა აქპეროვა, თინა აჯალოვა, სევდა ალახვერდოვა**. ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ უფრო მაღალი შედეგების მისაღწევად. კიდევ ბევრი კარგის თქმა შეიძლება ამ სკოლაზე. მოდით, ეს შემდეგისთვის იყოს.

სულ მალე 2015-ში შევაბიჯებთ. გილოცავთ დამდეგ ახალ წელს და ახალ წარმატებებს გისურვებთ, 73-ე საჯარო სკოლელებო!

ბორის ხარებავა

ქართულის გაკვეთილზე X კლასში

თბილისის არამ ხაჩატურიანის სახელობის მე-10 ხელოვნების სკოლაში

სმენას აცუბიბლა უვეიცარია

ავლაბარში წურწუმიას აღმართს რომ აუყვებით, ხშირად მოისმენთ ტკბილმშობლიურ მელოდიებს. ჯადოსნური ჰანგები ეფინება მიდამოს არამ ხაჩატურიანის სახელობის სახელოვანი მე-10 ხელოვნების სკოლიდან. იმ დღეს კონსერვატორიის აღზრდილი სკოლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი **ტარიელ ბერაძე** ფორტეპიანოზე რომანტიკული გატაცებით ასრულებდა ბეთჰოვენის „სონატა აპასიონატას“.

ესთეტიკური აღზრდის ამ ჩინებულმა კერამ შარშანწინ 80 წლის იუბილე იზეიმა. თავიდან მას მუსიკალური სასწავლებელი ერქვა. ქება-დიდებით, მადლიერების გრძნობით უნდა ვახსენოთ სხვადასხვა დროს აქ მოღვაწე დირექტორები: **სერგო პოღოსოვი**, **მარიამ ყარაშვილი**, კომპოზიტორი **ვლადიმერ კურტიდი**, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი **ნათელა წერეთელი**. მისი დირექტორობის დროს სკოლამ მოიპოვა დამოუკიდებელი შენობა დიდი საკონცერტო დარბაზით, რომლის სცენაზე მასტერკლასებს მართავდნენ გამოჩენილი მუსიკოსები: **გ. ნეიჰაუზი**, **იოხელესი**, **თ. ქუთათელაძე**, **ე. გურევიჩი**, **რ. როჟოკი**, **რეიმანი**, **ე. რუსიშვილი** და სხვები. ლექციებს ატარებდნენ კონსერვატორიის პროფესორები: **შალვა ასლანიშვილი**, **პავლე ხუჭუა** და სხვები.

ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. ნიჭიერ მოსწავლეთა და კონსერვატორიის სტუდენტ-ასპირანტთა გამოსვლები

აქ ხშირი მოვლენაა.

სკოლის პოპულარობაში დიდი წვლილი მიუძღვის მომდევნო დირექტორს **ირაკლი ჯოხაძეს**.

და აჰა, 37 წელია სკოლას შემოქმედებითად უძღვება რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწე, ყველა სიახლეთა ინიციატორი, იუმორით დაჯილდოებული, პოეტური და რომანტიკული ბუნების მაესტრო **ტარიელ ბერაძე**, მან შესანიშნავი ორგანიზატორული ალღოს მქონე პედაგოგმა, სკოლის პედკოლექტივის თანადგომით დიდი საგანმანათლებლო მუშაობა გაშალა, შემოქმედებითი კავშირები გააღრმავა არა მარტო დედაქალაქის სახელოვნებო დაწესებულებებთან, არამედ სხვა რესპუბლიკების ქალაქებთან: მოსკოვის, ერევნის, სანკტ-პეტერბურგის სამუსიკო სკოლებთან.

დიდ როლს ასრულებს მე-10 სკოლა ხალხთა შორის მეგობრობისა და ტოლერანტობის გაღრმავებაში. მისი აღზრდილები უამრავი საქალაქო, რესპუბლიკური თუ საერთაშორისო ფესტივალების დიპრომანტები არიან. უფრო მეტიც, ამ სკოლის აღზრდილები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (ამერიკა, გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია, არგენტინა) მოღვაწეობენ. ესენი არიან: **ს. შავგულიძე**, **ნ. წვერელი**, **თ. ჩიტაძე**, **ე. ასათიანი**, **მ. გველესიანი**, **ვ.** და **გ. მურადოვები**, **ლ. კალამკაროვა**, **ს. რინენბერგი**, **ნ. ბიჭიაშვილი**, **ბ. შპეტიშვილი**, **ნ. შერმადინი**, **ს. გელოვანი**, **ნ. წიკლაური**, **ა. სირაძე**.

რადიო თუ სატელევიზიო გადაცემებში, საიუბილეო კონცერტ-ფესტივალებში აქტიურად არიან ჩართული მე-10 სახელოვნებო სკოლის შემსრულებლები. დიდხანს საფორტეპიანო განყოფილებას უძღვებოდა ღირსების ორდენის კავალერი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი **დეა ქართველიშვილი**, რომლის ამაგი დაუვიწყარია.

არ შეიძლება დავივიწყოთ ყოფილი სასწავლო ნაწილის გამგის, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის **მარგარიტა აგაჯანოვას** ფასდაუდებელი ღვაწლი.

დღეს კი ამ ტრადიციას შემოქმედებითად აგრძელებს ასევე მეტად ერუდირებული პედაგოგი, კონსერვატორიის მუსიკათმცოდნეობის ფაკულტეტდამთავრებული, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი **მანანა ბაქრაძე**. იგი 45 წელია პედაგოგად მუშაობს, ხოლო სასწავლო ნაწილის გამგეობის 3 წლის სტაჟი აქვს.

ძირითადად სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი განყოფილებები: **საშემსრულებლო** (ფორტეპიანი, ვიოლინო, ფლეიტა, გიტარა, ქსილოფონი), **ქართული ხალხური საკრავების შემსწავლელი** (ფანდური, სალამური) და **სახვითი ხელოვნების** (ხატვა, ქანდაკება) და **საორკესტრო**,

საშემსრულებლოში მაპროფილებელია თეორიული განყოფილება – ხელმძღვანელი **ლალი ჭყონია**, საორკესტროსი – **ვალენტინა შულიუტა**, სახვითი ხელოვნებისა – **გვანცა კვანტრიშვილი**.

ხელოვნების ისტორიას კითხულობს **სოფიო გოგოხია**,

თეორიულ განყოფილებაში თეორიულ დისციპლინებს ასწავლიან: **მანანა ბაქრაძე**, **ლალი ჭყონია**, **ცისანა დიხამინჯია**, **ნინა აბგაროვა**, **ლალი გულუა**, **ევგენია კაზაროვა-ზალიევა**, **ნანა ედიშერაშვილი**, **თემურ სოლოღაშვილი**. ხალხურ საკრავებს ხელმძღვანელობს **ნანა ედიშერაშვილი**.

საფორტეპიანო განყოფილებაზე ენთუზიაზმით მუშაობენ მეთოდისტები: **ნანა ტვილდიანი**, **ივეტა მერაბიანი**, **ნატალია პურგინა**, **ერსელია ჭაბაშვილი**, **ლალი ესიტაშვილი**, **კარმენ ბაგდასაროვა**.

საორკესტრო განყოფილებაზე სავიოლინო კლასი ეფექტიანად მიჰყავთ ღირსების ორდენის კავალერს **გალინა ბანდურას**, **ანატოლი დანელიას**, **ვალენტინა შულუტას**, **მარინე დავითულიანს**.

ფლეიტას ასწავლის **სტელა ელიკეზერაშვილი**, ქსილიფონის დაკვრას კი – **მედეა ნადირაძე**.

„წარჩინებულ მოსწავლეთა სტატუსი“ უფასო სწავლებით მოიპოვა 34-მა ნიჭიერმა მოსწავლემ. ესენი არიან: **მარი ბურდული**, **ნინო კუხიანიძე**, **სალომე ფროდეული**, **მარი ბოლქვაძე**, **ელენე თანიაშვილი**, **ნიკა დავითაშვილი**, **მერაბ სეფაშვილი**, **ლიკა ზალიევა**, **ლევან მიგრიაული**, **თემისტოკლე ტონტიკოვი**, **მარი ხუროშვილი**, **ელენე კეკელიძე**, **ანა აზიზბეკიანი**, **მარი ღვინაძე**, **ელენე გადრანი**, **მარი ნიბლაძე**, **თამარ ჯავაშვილი**, **თათია ოქრუაშვილი**, **ალექსანდრე ხუნძაკიშვილი**, **ანა ზაალიშვილი**, **მარი კეკელიძე**, **ანა სიხაშვილი**, **მედეა კუსიანი**, **ლილითი მანუსარჯევა**, **მიშა გვალია**, **ნატალი მამუკაშვილი**, **მედეა ცქიტიშვილი**, **ანა კორახაშვილი**, **მარი ნიკოლეიშვილი**, **ეკა ბორისენკოვა**, **ლია ბაქრაძე**, **ლევან ჩხაიძე**, **ანა ხაჩატრიანი**, **თორნიკე ჭიჭინაძე**.

პედაგოგთა შემოქმედებითი გარჯის ნაყოფი სასიხარულოა. დიპლომების, სხვა ჯილდოების „რა სიუხვეა, რა სიმრავლეა!“ აი, ისინიც: **ალექსანდრე ხუნძაკიშვილი** (ფორტეპიანო, პედაგოგი **ნანა ტვილდიანი**), **ნიკა დავითაშვილი** და **მერაბ სეფაშვილი** (ფორტეპიანო, **ლალი ესიტაშვილი**), **მარიამ ნიკოლეიშვილი** (ფორტეპიანო, **თამრიკო ჯიბღაშვილი**), **ელენე გადრანი** (ფორტეპიანო, **ივეტა მერაბიანი**), **მარი ღვინაძე**, **ანა აზიზბეკიანი** (დუეტი ფორტეპიანო, **კარმენ ბაგდასაროვა**), **მედეა ცქიტიშვილი** (საერთაშორისო ფესტივალზე იტალიასა და თურქეთში გამარჯვებული) და **ნატალი მამუკაშვილი** (ფორტეპიანი, **ნუნუ ჭელიძე**), **ნანა უსტარაშვილი** (პედ. **ტარიელ ბერაძე**) სწავლას აგრძელებს ნიჭიერთა ათწლედში, **მარიამ მამფორია** (პედ. **რუსუდან მირზაშვილი**) აგრძელებს სწავლას ნიჭიერთა ათწლედში. საორკესტროში: **დავით აკოფიანი**, **მილენა ჯალალბეკოვა**, **სალომე მერაბიშვილი** (ვიოლინო, პედ. **გალინა ბანდურა**). ყველა ნიჭიერთა ათწლედში სწავლობს. ქსილოფონზე თავი ისახელა **თორნიკე ჭიჭინაძემ** (პედ. **მედეა ნადირაძე**).

უსინათლო მოსწავლეებსაც, რომელთაც **ვერა კუპატაძე** და **თემურ სოლოღაშვილი** ასწავლიან, დიდი წარმატებები აქვთ. დიპლომით დაჯილდოებულია **თემურ სოლოღაშვილის** ნიჭიერი მოსწავლე **ანა სიხაშვილი**. რადიომაუწყებლობის I არხის საბავშვო განყოფილების წამყვანია მერვეკლასელი **ანა ზაალიშვილი**.

აი, როგორი ლამაზი, მჩქეფარე საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობენ მე-10 სახელოვნებო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები. სასიხარულოა, რომ აქ შეხმატკბილებულად სწავლობენ და მეგობრობენ ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი, უკრაინელი, ბერძენი, ქურთი და სხვა ეროვნების ახალგაზრდები.

სკოლის ინიციატივით 2011 წელს ჩატარდა თბილისის მერიის ხელოვნების სკოლების მოსწავლეთა ფესტივალი მოცარტის დაბადებიდან 255 წლისთავის აღსანიშნავად. 2013 წელსაც ეს სკოლა იყო ინიციატორი მსგავსი ფესტივალისა სახელწოდებით „გერმანული მუსიკა“.

2015 წელს ჩატარდება საქალაქო ფესტივალი, რომელიც მიეძღვნება საქართველო-საფრანგეთის მუსიკალური კულტურის ურთიერთობას. წინ ბევრი გამარჯვება გელოდებათ.

დამდეგ ახალ წელს გილოცავთ, მეგობრებო და ახალი სიმაღლეების დაპყრობას გისურვებთ.

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

ნიჭიერთა და შემოქმედთა ასპარეზი

თბილისის 163-ე საჯარო სკოლა

დიდი ხანია ამ სკოლას სათავეში უდგას ახალგაზრდა, ენერგიული პედაგოგი **ლელა ქინქლაძე**, რომელიც სისტემატურად ზრუნავს კოლეგებს შორის თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებაზე, სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლებაზე, მოსწავლეთა შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების უნარების განვითარებაზე.

დირექტორს შემოქმედებითად მხარში უდგანან მოადგილეები **ნინო ხარებავა** და **ვენერა ბერუაშვილი**, საინფორმაციო მენეჯერი **იამზე მენთეშაშვილი**, ბუღალტერი **ირინე კობახიძე** და საქმისმწარმოებელი **ეთერ პაპიძე**.

მათი ძალისხმევით სკოლა დიდ წარმატებებს აღწევს, საგნობრივი კათედრებიდან ქართული ენა ლიტერატურისას ხელმძღვანელობს **ციცინო ვაშაკიძე**, მათემატიკას, **ფიქრია ხუმარაშვილი**, საბუნებისმეტყველოს – **ნინო ორველაშვილი**, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხელმძღვანელია **მარინე ჩუთლაშვილი**, უცხოური ენებისა (ინგლისური, რუსული) **ნინო ჯაფარიძე**, დაწყებითი კლასების **ვალიდა ბირთველიშვილი**, ესთეტიკურ მეცნიერებათა – **ლარისა გუსოევა**.

სერთიფიცირებული პედაგოგები არიან: **მარინე გურაბანიძე**, **ეკატერინე იმედაშვილი**, **ვალიდა ბირთველიშვილი**, **ნანი ბალახაძე**, **ნინო ხარებავა**, **ციცინო ვაშაკიძე**, **ხათუნა მეფარიშვილი**, **შორენა თხელიძე**, **ნინო ჯაფარიძე**, **ვიქტორია ალექსეევა**, **მაკა მახათაძე**, **მანანა თიგიშვილი**, **მანანა ალექსანდრია**, **ქეთევან თანდაშვილი**, **მარინე ჩუთლაშვილი**, **ირინე კახაბრიშვილი**.

2013 წლის აპრილიდან სკოლა ჩაერთო პედაგოგთა პროფესიული განვითარების პროგრამაში. შექმნილია შვიდკაციანი ჯგუფი, რომელიც კოორდინირებას უწევს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. ჯგუფის წევრები (**ფიქრია ხუმარაშვილი**, **ლენა ბერიძე**, **ნინო ჯაფარიძე**, **ნინო ორველაშვილი**, **ნინო ხარებავა**, **ვალიდა ბირთველიშვილი**, **მარინე ჩუთლაშვილი**) აქტიურად ეხმარებიან პედაგოგებს სილაბუსების, თემატური და ყოველდღიური გეგმების, ოქმების სრულყოფაში, შეფასების კრიტერიუმების შედგენაში ზეპირი და წერითი შემაჯამებელი სამუშაოებისათვის, ურთიერთდასწრების კულტურის ჩამოყალიბებაში, კრიტიკულ-კონსტრუქციული ანალიზების დახვეწაში.

განსაკუთრებით აქტიურია დაწყებითი კლასების კათედრა (**ვალიდა ბირთველიშვილი**). ერთმანეთის გვერდით შრომობენ და იღვწიან ახალგაზრდა და გამოცდილი პედაგოგები: **დარეჯან ბოჭორიშვილი**, **ეკატერინე ზანანაშვილი**, **ნინა სუპატაშვილი**, **ირინე მახაური**, **მზია თარხნიშვილი**, **ია სამადაშვილი**, **ნანა ინაძე**, **მარიამ ჩახუნაშვილი**, **მარინე კაკაშვილი**, **მარინე ლომსაძე**. მათ მხარს უმშვენებენ ახალშემატებული ახალგაზრდა პედეგოგები: **ნინო თაბუკაშვილი-ჩუბინიძე**, **ნინო ქავთარაძე**, **სოფო გიორგაძე**.

ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილმა პედაგოგებმა განახორციელეს პროექტები: **მარინე გურაბანიძემ** - ,,რა არის კარგი, რა არის ცუდი“, **ეკატერინე იმედაშვილმა** - ,,ციხე-ტაძართა საგალობელი“, **ვალიდა ბირთველიშვილმა** - ,,დაწყებით კლასებში ქცევის წესების გასაუმჯობესებელი აქტივობების გამოყენება“, **მარიტა ასათიანმა** - ,,გზა ევერესტისაკენ“

აქტიურად ტარდება სკოლაში ინტეგრირებული გაკვეთილები: ქართული ენისა და ლიტერატურის ფიზიკასთან ინტეგრირებული ,,მისტერია წვიმაში“ (**ციცინო ვაშაკიძე** და **ნინო ორველაშვილი**). სკოლაში განხორციელებული კვლევა-პროექტებია:,,განმავითარებელი შეფასების როლი მოსწავლის ცოდნის დონის ამაღლებაში“ (**ფიქრია ხუმარაშვილი**, **ქეთევან თანდაშვილი**, **ციცინო ვაშაკიძე**, **ნინო ორველაშვილი**). ,,საზოგადოების განწყობა სასკოლო სახელმძღვანელოების რეფორმასთან დაკავშირებით“ (**ნინო ჯაფარიძე**). „საატესტატო გამოცდების შედეგების კვლევა“ (**ნინო ორველაშვილი**). „ჩვენ ერთად ავაშენებთ ტაძარს“ (**მარინე ჩუთლაშვილი**).

დირექციის აქტიური დახმარებით ჩამოყალიბდა სასკოლო კულტურა: ექვთიმე თაყაიშვილის დღეები, ბიბლიოთეკის დღე, თვითმმართველობის დღე, დედაენის დღე და სხვა. სკოლაში ფუნქციონირებს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კაბინეტი, სადაც წარმოდგენილია მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტო მასალა.

2011 წლიდან, მას შემდეგ რაც სკოლას მიენიჭა ექვთიმე თაყაიშვილის სახელი, ყოველწლიურად, გაზაფხულზე ტარდება ექვთიმესეული, რომელშიც მონაწილეობს მთელი სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი. ექვთიმეს დღეებში მიმდინარეობს წლის მანძილზე გამართულ კონკურსებში გამარჯვებულთა დაჯილდოება, ტარდება სამოდელო გაკვეთილები, ლიტერატურული საღამოები, გამოფენები, კედლის გაზეთების კონკურსები, საგნობრივი კონფერენციები, გამარჯვებული თემები ბროშურების სახით გამოიცემა.

პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის დამოკიდებულება თანამშრომლობითია. მოსწავლეთა მშობლები აქტიურად არიან ჩართულნი სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათი უშუალო მონაწილეობითა და დახმარებით განხორციელდა მრავალი პროექტი.

მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო-შემოქმედებით ოლიმპიადებსა და კონფერენციებში, კონკურსებში. საზოგადოება ,,მოქალაქის“ მიერ გამართულ კონკურსში ,,რა ვიცი სამოქალაქო განათლების შესახებ“ პირველი ტური გადალახა ხუთმა მოსწავლემ, რომელთაც მიიღეს სერთიფიკატები და ფასიანი საჩუქრები. სკოლა ასახელეს: **დაჩი ლეფსვერიძემ** (XI კლასი), **სანდრო ილურიძემ** (XI კლასი), **თამარ გაბროშვილმა** (IX კლასი), **მარიამ ყიფშიძემ** (IX კლასი), **გიორგი ვეფხიშვილმა** (X კლასი).

სკოლა აქტიურადაა ჩართული სასკოლო სპორტის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, ტარდება სასკოლო ოლიმპიადები მაგიდის ჩოგბურთში.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის 163-ე საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი დირექციის მხარდაჭერით აქტიურად იბრძვის წარმატებული სკოლის იმიჯის განსამტკიცებლად, რომლის დევიზია: **„სკოლა რომელსაც ენდობიან და უყვართ“**.

ასე რომ, 163-ე სკოლელებს თვალი მწვერვალებისკენ უჭირავთ.

რომან მოსეშვილი

პროფესიული განათლების დიდი მომავალი

პოპულარულ სკოლა-კოლეჯში

მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯი წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელს ატარებს. სასწავლებელი უნიკალურია თავისი სწავლა-სწავლების პროგრამით: ეს არის სკოლა-კოლეჯი პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლებამოსილებით.

ირინა ზედგინიძე ამ სკოლა-კოლეჯის დამფუძნებელი და დირექტორია. იგი გახლავთ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

სკოლაში საბაზო საფეხურები (VII-IX) მოიცავს სწავლებას სამი პროფილის მიხედვით, ესენია: ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური. საშუალო საფეხური (X-XII) სკოლას ხდის ინტეგრირებულს პროფესიულ განათლებასთან, რაც ნიშნავს სწავლების პარალელურ რეჟიმს სკოლა-კოლეჯი.

მინდა ხაზი გავუსვა განსაკუთრებულ გარემოებას, რომ სკოლა-კოლეჯის კურსდამთავრებული საატესტატო გამოცდების ჩაბარების შემდეგ იღებს საშუალო განათლების ატესტატს, იმავდროულად საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების შემდეგ კი კვალიფიკაციისა და საფეხურის შესაბამის პროფესიულ დიპლომს.

პროფესიული განათლების ინტეგრირება სკოლაში საშუალებას აძლევს XI-XII კლასის მოსწავლეებს, რომ საატესტატო და ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშეც დაეუფლონ ამ თუ იმ პროფესიას, შეიძინონ შესაბამისი პროგრამის საწყისი ცოდნა, საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების შემდეგ კი დასაქმდნენ შესაბამისი პროფესიით. მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება, მათ შეუძლიათ მიიღონ სკოლის დამთავრების ატესტატი და გააგრძელონ სწავლა უმაღლეს სასწავლებელში ან დასაქმდნენ მიღებული პროფესიული დიპლომის შესაბამისად.

სკოლა-კოლეჯს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ 2011 წლის 13 დეკემბერს მიანიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

პროფესიული სწავლება მოიცავს მე-3 საფეხურის შემდეგ პროფესიულ პროგრამებს: **კბილის ტექნიკოსის**, **ინტერნეტ-ტექნოლოგის** (ვებ-სპეციალისტი), **ბუღალტრის**, **ოფისის მენეჯერის** (მდივან-რეფერენტი), **მცენარეების დამამზადებლის** (სამკურნალო, არომატული).

ამჟამად კოლეჯში 180 მოსწავლეა. მათ სწავლა-აღზრდას 30 პედაგოგი ემსახურება და ყველას მაგისტრის წოდება აქვს მინიჭებული, ხუთი მათგანი კი მეცნიერებათა დოქტორია. სკოლაში მიმდინარეობს პედაგოგთა მონიტორინგის პროცესი, რაც მოიცავს პედაგოგთა ურთიერთდასწრებას, თვითშეფასებას, გამოცდილების გაზიარებას. ყოველივე ეს ეხმარება პედაგოგს, კვალიფიკაციის ამაღლებაში. სკოლას აქვს შემუშავებული მონიტორინგისთვის ყველა, შესაბამისი დოკუმენტური ფორმა, რაც საბოლოო ჯამში მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის შეფასების საშუალებას იძლევა. მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს მოსწავლეთა სასწავლო და ფსიქოლოგიური მონიტორინგი, ხოლო წლის ბოლოს ფსიქოლოგიური სამსახური გასცემს მოსწავლის ე. წ. „ფსიქოლოგიურ პორტრეტს". სწავლისა და სწავლების პროცესის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიური ჩათვლების საფუძველზე შეფასების რეიტინგული სისტემის გამოყენებით, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს მუდმივად აკონტროლონ მიღწევები.

სკოლა-კოლეჯის სასწავლო პროცესის გაგრძელებაა საინტერესო ღონისძიებები, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი მოსწავლეები. ესაა ყოველწლიური, ღია თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია, მუშაობს ინტელექტუალთა კლუბი, იდგმება სპექტაკლები, ტარდება ლიტერატურული საღამოები და სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.

– მე მადლობას ვუხდი მთელ პედაგოგიურ კოლექტივს მათი პროფესიონალიზმისა და თავდადებისათვის. მათი თანადგომით ვცდილობ მოსწავლეებს მივცე ცოდნის მაქსიმუმი და ცხოვრების ასპარეზზე გასვლაში დავეხმარო. მინდა მარად ახსოვდეთ, რომ „ენა, მამული, სარწმუნოება" უმთავრესია, – განაცხადა დირექტორმა **ირინე ზედგენიძემ**.

დიმიტრი ყიფიანი ბრძანებდა: „მხოლოდ ის ერი შეიძლება დაადგეს პროგრესის გზას, რომელიც მეტყველებს და აზროვნებს მშობლიურ ენაზე".

სკოლა-კოლეჯს პროფესიული განათლების დარგში დიდი მომავალი აქვს.

რომან მოსეშვილი

საამაყო მომღერლის მოგონება

(მსახიობის გარდაცვალებიდან 60 და გარდაქმნის 20 წლისთავის გამო)

ძველი იტალიელები – ბულკანტოს ხელოვნების შემქმნელი ოსტატები – ამბობდნენ: „სიმღერის ხელოვნება სუნთქვის ხელოვნებაა“. **მაია თომაძის** სიმღერის ოსტატობა სწორედ ამ დებულების ჭეშმარიტების უტყუარი დადასტურება იყო. მაიას ხელოვნების ხიბლი, შთამბეჭდავი ესთეტიკური ზემოქმედება, სიწმინდე და ხალასი გულწრფელობა, სუნთქვის ხელოვნების სასწაულებრივი ფლობის ოსტატობითაა განპირობებული. **მაია თომაძე** თანამედროვე ვოკალური ხელოვნების კლასიკოსად უნდა იქნეს მიჩნეული. მისი ხელოვნება სულის უკვდავებასთან წილნაყარია.

ნოდარ ანდღულაძე

ფილიპინებზე გასტროლების შემდეგ გაზეთი „**მანილა სტარ**“ წერდა: „ასეთი სუნთქვა ჩვენ არ მოგვისმენია არასდროს“ მსმენელი მოაჯადოვა და წამში დაიპყრო, როცა არიებს მღეროდა სპექტაკლებიდან „**ნორმა**“ და „**პაჩე**“. ის სიმღერას იყო ბოლომდე მიცემული და შეძრა კიდეც მაყურებელი. ის მსოფლიოს უდიდეს ოპერებს დაამშვენებდა, როგორც ვარსკვლავი“.

ფინური გაზეთი „**ჰიუვინკან სანომა**“ **მაია თომაძეს** სიმღერის ჯადოქარს უწოდებს. გაზეთი „**რააჰუნ სუეტი**“ კი ცდილობს, ახსნას მაიას ფენომენი: „**მაია თომაძის** ხმა, ეს ბუნებით ნაბოძები ჯილდოა – მომღერლის ხმას გააჩნია უდიდესი გარდაქმნის უნარი: იგი ხან ძარღვიანი, მუქი და დრამატულია, ხან ნაზი, მეტისმეტად ფაქიზი. დიდი ხანია, ასეთი სიმღერა არ მოგვისმენია!“ – აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ ფინელები. გაზეთი „**კალევა**“ ერთგვარად აჯამებს, თუ რის გამო შეექმნა მსმენელს მაიას მოსმენისას ესოდენ უნიკალური შეგრძნება: „ულამაზესი პიანო, ნაზი ლეგატო, ბრწყინვალე ფიორეტურები და, ამავე დროს, დიდი დრამატული, ჟღერადი სოპრანო. მსმენელი მოიხიბლა შესრულების კლასიკური მანერით: თავშეკავებული, აკადემიური, ნაწარმოების ღრმა შეგრძნებით, დიდი გემოვნებით ჩატარებული კონცერტი – ეს მხოლოდ უმაღლესი კლასის მომღერლებს ახასიათებთ“.

მაია თომაძე – 60

მაიამ ძალიან ცოტა ხანს იცოცხლა და მაინც ძალიან ბევრი მოასწრო. გამარჯვებითაც გაიხარა და მწარე დამარცხებაც იგემა, კვარცხლბეკზეც იდგა და დაუძლურებულიც შეიქმნა. განუკურნებელი სენისგან ფერშეცვლილი ლექსებს წერდა და გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე დაწერილ ლექსში ღმერთს სწირავს მადლობას ყოველივესთვის, ოღონდ გულდაწყვეტით ამბობს: ***„განგებამ მაინც დაჭედილ დიდ ყუთში მამყოფა... მე მაინც მივალ... მე მაინც მივალ...“***. ეს ლექსი ქალბატონმა ნათელამ სულ ცოტა ხნის წინათ აღმოაჩინა. „თითქოს მეორედ დავმარხე ჩემი მაკო, ეს რომ წავიკითხე“, – მეუბნება ეს ძლიერი, შეუდარებელი და უბედურებისგან გამშრალი დედა და ორ ფურცელს მაწვდის. ისევ ლექსები. ერთი მათგანი მაიას მამას **პეტრე თომაძეს** ეკუთვნის, მაკოსთვის მიუძღვნია, სპექტაკლის შემდეგ, შუაღამისას დაუწერია. ***„შენს ხმაშია ორფეოსის სევდა, შენს გულშია საქართველოს დარდი“***, – იმთავითვე შეუტყვია შვილისთვის ეთერისეული სიმძიმილი თავადაც პროფესიონალ მომღერალს. მეორე ლექსი კი მაკოს ეკუთვნის, მამას გამოპასუხებია: ***„ჩემს სამშობლოს ვენაცვალო მინდა, სიმღერის და ერის სიყვარულში“***, – პირობას დებს მაია მამის წინაშე.

ბატონმა **გიზო ჟორდანიამ** ამ დღეებში, მაია როცა გაიხსენა, თქვა: ***„მაია ჩემთვის სიხარულიც არის და ტკივილიც“***. ამაზე ზუსტად სათქმელის გადმოცემა შეუძლებელია, ვერც იმას ახსნი, კონკრეტულად რა გახარებს ან რა გტკივა. მაიამ ხომ უდიდესი კვალი გაავლო ქართულ ხელოვნებაში. თავდაუზოგავად იღვაწა, იბრძოლა, იკვნესა და აღესრულა, როგორც შეწირული.

დეკემბრის იმ ავადსახსენებელ დღეს (1994 წლის 22 დეკემბერს) მაიას ცხედარი ქაშუეთის წმიდა გიორგის ტაძარში იყო დასვენებული. ტანთ ეთერის უძვირფასესი კოსტიუმი ემოსა.

შეუძლებელია, არ დაეთანხმო და არ გაიზიარო დიდი თეატრის სოლისტის **ირინა არხიპოვას** აზრი: ***„ის, რაც თომაძემ შექმნა, მისი უკვდავებისთვის სრულიად საკმარისია“***.

ლეილა კვირიკაშვილი

ხსოვნა

წამები ნამებს მისდევენ, წუთები წუთებს და დრო ძალიან სწრაფად გარბის... მალე 40 დღე შესრულდება, რაც თქვენ ჩვენთან აღარა ხართ, თუმცა ეს მხოლოდ ფიზიკურ ყოფნაზეა საუბარი... **რუსუდან**, შენ მუდამ ჩვენთან იქნები, ჩვენს ფიქრებში, ჩვენს სიზმრებში და ყველგან, სადაც ჩვენ ვიქნებით, **რუსოც** იქ იქნება.

რამდენი ხალისიანი, რამდენი დაღლილი, რამდენი სიხარულით სავსე წლები გავლიეთ ერთად, თითქმის ცხოვრების ყველაზე აზრიანი და მომავლის იმედებით სავსე წლები.

ახლა კი, ახლა ვზივართ და შენზე წარსულში ვსაუბრობთ. ეს ტკივილი ძალიან დიდხანს გაგვყვება **რუსო**, ალბათ მანამდე, ვიდრე მეხსიერება გვექნება.

რუსუდან ცარციძის და ნათია პერტაიას მოსაგონარი

თუკი ვინმემ თქვენი ტრაგედიის შესახებ გაიგო, ყველანი ცხარე ცრემლებით დაგტირიან და ეს ცრემლები ძალიან გულწრფელია, **რუსო**.

უსასრულოდ შეგვიძლია ვისაუბროთ შენს პიროვნებაზე, შენს გულჩვილობაზე, შენს სინანულზე... არასდროს დაგვავიწყდები **რუსო**, შენგან დატოვებულ სიცარიელეს ვერავინ შეგვივსებს.

ვერავინ შეცვლის **რუსუდან ცარციძეს**.

ნათია!!! ნათიაზე ძალიან გვიჭირს საუბარი, იმიტომ, რომ ძალიან დიდი ტკივილია ჩვენთვის და მუდმივად, მხოლოდ ცრემლები დაგვახრჩობს ამ ტრაგედიის გამო. ღმერთმა სასუფეველში დაგიმკვიდროთ საუკუნო საცხოვრებელი, **რუსუდან**, შენ და შენს სათაყვანებელ ქალიშვილს, რომელზეც ზრუნვის უფლება არავის დაუთმე და ერთი წამითაც არ მიატოვე, ჩაიხუტე მაგრად და ხელი აღარ გაუშვი. რომ არა ის ტრაგიკული შემთხვევა, **რუსუდანი** კიდევ ბევრჯერ გაახარებდა ჩვენი და მისი პატარა აღსაზრდელების გულებს.

ის იყო თავისი საქმის ერთგული და ბავშვების უზადოდ მოყვარული, ჰქონდა პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობა, იყო ხალისიანი და სტიმულის მიმცემი თავისი ახალგაზრდა კოლეგებისთვის.

ნახვამდის, ჩვენო **რუსუდან** და ასე ამაღლებული ამიერიდან ზეცას შეუერთდება შენი უკვდავი სული. ჩვენ კი მხოლოდ მონატრება, დიდი ტკივილი და მოგონებები დაგვიტოვე.

მოგვენატრებით და ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენთვის და **ნათიასთვის**, სანთლები დავუნთოთ თქვენს ხსოვნას.

თბილისის 172-ე საბავშვო ბაგა-ბაღის კოლექტივი

მოდი, წელო ახალო!

თენგიზ თომაძე

ცოდან ცვივა თოვლის ფიფქი,
თეთრი, როგორც ბამბის ქულა
დრო არ იცდის და გულდაგული
გავაბრწყინებთ ახალ სუფრას.
საათს შევყურებთ – ისმის წკრიალი,
თოვლმა დაფარა ველი თავნება.
სულით და გულით გილოცავთ ყველას
ამ ახალი წლის შემთბრძანებას.

ახალო წელო, მოგვეც მშვიდობა,
სულის სილაღე, გული თავნება
ახარე ყველა სულდგმული, ღმერთო,
ჩვენ შენი კალთა მოგვესალმება.
შენს მობრძანებას, ახალო წელო,
შევხარით მუდამ ღელვით წამიერ,
დე, გვახარებდეს ყოველ თვეში
შენი შემოსვლა, მრავალჟამიერ!

განცხადება

ვარ თურქული ენის დიპლომირებული სპეციალისტი. ცხრა წელი ვმუშაობდი თარჯიმნად თურქეთში. ვთარგმნი ნებისმიერ ტექსტს, თურქულიდან ქართულად და პირიქით. ვასწავლი ნებისმიერ მსურველს თურქულ ენას საფუძვლიანად. ტელ.: 2749244, 2989503, 593329687.

ნომრის რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+
№7 (4504)
24 დეკემბერი, 2014 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113